ხელშეკრულება № 26
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(მომსახურების შესყიდვა)

ქ. თბილისი 31 მაისი 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ საქართველოს **ხალხური სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“** (შემდგომში-შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან თოიძის სახით და მეორეს მხრივ, **გიორგი გრიგალაშვილი** (შემდგომში-მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი.

1.1. სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“-ს საკუთარი სახსრებით სახსრებით წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული მომსახურების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტი: ''შემსყიდველი''-ს დავალებით **სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლი „რუსთავ“-ში არსებული სტუდია „მართვე“-ს ორგანიზებით „არტის ბაღი“ სკვერში ბავშვთა ტეატრალიზებული წარმოდგენის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ვიდეო გადაღების მომსახურების გაწევა** (cpv – 92100000 კინო და ვიდეომომსახურეობები).

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება.

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით. შესყიდვის ობიექტის ფასი შეადგენს:

| გაწეული მომსახურეობა | რაოდენობა | ტარიფი | ფასი (ლარი) | ჯამი (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| ოპერატორის მომსახურება | 1 | 125 | 125 | 125 |

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა: 125 (ას ოცდახუთი) ლარს გადასახადის ჩათვლით. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შესყიდვის ობიექტი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა **2018 წლის 31 მაისი.**

4.2. შესყიდვის მიწოდების ადგილია: **თბილისი, დავით აღმაშენებლის** გამზირი №103.

## 5. შესყიდვის მიღება - ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება - ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ, საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

6.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და/ან

კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.2 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშერულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედე-გოდ გასვლის შემდეგ(დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებით ივადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 01 ივლისამდე.

## 10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლი-ლებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხ-ლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართვე-ლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა,ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებანი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნებთან.
13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ანსამბლის დირექტორი შალვა ლორთქიფანიძე.
13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შეწუნდების მიზეზების მითითებით გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია: ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

*შემსყიდველი* - **სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“,** იურიდიული მისამართი - საქართველო, ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №103, საიდენტიფიკაციო კოდი 216297433, ტელ. (5-99)18-13-67, სს. „ვითიბი", ბანკი; ბანკის კოდი UGEBGE22 ანგ.№GE79VT6600000000733608

*მიმწოდებელი* - გიორგი გრიგალაშვილი (პ/ნ 57001061551); საბანკო მონაცემები: სს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა GE76BG0000000837789800

*მხარეთა ხელმოწერები:*

*შემსყიდველი*
*ანსამბლის*
*დირექტორი*

*მიმწოდებელი*

ა. თოთ

/ამირან თოიძე/

/გიორგი გრიგალაშვილი/

მიღება-ჩაბარების

აქტი №26

*თბილისი* **31 მაისი 2018 წ.**

ჩვენ, ამ დოკუმენტზე ხელისმომწერნი,

ერთის მხრივ - **სსიპ - საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ამირან თოიძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ – **გიორგი გრიგალაშვილის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა შეასრულა 2018 წლის *31 მაისის №26 ხელშეკრულების 2.1. მუხლით* გათვალისწინებული მომსახურეობა ღირებულებით 125.00 ლარი.

*შემსყიდველი* *მიმწოდებელი*

_______________ _______________

*/ამირან თოიძე/* */ გიორგი გრიგალაშვილი/*

# ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი 31 მაისი **2018** წელი

„ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ “ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ 2018 წლის 31 მაისს **გიორგი გრიგალაშვილთან** დადებული ხელშეკრულებით **გაწევა** (cpv – 92100000 კინო და ვიდეომომსახურეობები)განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი: ამირან თოიძე -----------------------

შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების კოორდინატორი: ვახტანგ ჯავახია -----------------